**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ვახვახიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული

თ. ვახვახიშვილი

ვახვახიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული (4. I. 1894, ვარშავა, – 31. X. 1976, თბილისი), კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1940). 1908-12 სწავლობდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში (ნ. ნიკოლაევის კლასი), 1912-17 - პეტერბურგის კონსერვატორიაში (ნ. ჩერეპნინის, თ. ჰარტმანის კლასი); 1918-21 - თბილ. კონსერვატორიაში (ნ. ჩერეპნინის საკომპოზიციო კლასი); 1926-27 - პარიზის კონსერვატორიაში (პ. ვიდალის საკომპოზიციო კლასი). 1921-23 იყო თბილისის II სამუსიკო სასწავლებელის დირექტორი. მისი ინიციატივით პირველად საქართველოში ჩამოყალიბდა საკომპოზიციო კლასი. 1926–33 თანამშრომლობდა კ. მარჯანიშვილთან (1929-მდე – ქუთაისის დრამ. თეატრში, 1929–33 იყო თბილ. მარჯანიშვილის სახ. დრამ. თეატრში სამუსიკო ნაწილის გამგე). 1933–71 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში. მუშაობდა, ძირითადად, ბალეტისა და პანტომიმის ჟანრში. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა ვ-ის ერთაქტიანი ბალეტები (ჟანრის პირველი ნიმუშები ქართ. მუსიკაში) – „ბახუსის დღესასწაული” (1919), „სიყვარულის ბანგი” (1920), „სპარტაკი” (1937, ქართ. ბალეტის შექმნის პირველი ცდები); პანტომიმები – „ირანული პანტომიმა” (1914), „მზეთამზე” (1929), „ხანძარი” (1930, დაიდგა მოსკოვში, ხარკოვსა და ქუთაისში); ვ-ს ეკუთვნის მუს. კომედია „დონ ჰილი – მწვანე შარვალი” და სხვ., აგრეთვე კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრის თანხლებით (3 ნაწილად), კანტატა, რომანსები, მუსიკა დრამ. სპექტაკლებისათვის („ცხვრის წყარო”, „ურიელ

აკოსტა” – კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში; „ვერაგობა და სიყვარული” – მოსკ. მცირე თეატრში და სხვ.). ავტორია წიგნისა „თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან” (1976, რუს. ენაზე).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

*ლიტ.*: ქართველი კომპოზიტორი ქალები, https://georgianwomencomposers.ge/ge/composers/?.

***გ. ტორაძე***

---